XIX საუკუნის მეორე ნახევარის მოსახლეობის ცვლილება

XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოსთვის დიდი გარდაქმნების ხანა იყო. ამ პერიოდში დაიწყო ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარება, რაც მოსახლეობის ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა.

რუსეთის იმპერიის მმართველობის პირობებში საქართველოში შეიქმნა ახალი ინფრასტრუქტურა აშენდა რკინიგზის ქსელი, რომელიც აკავშირებდა შავი ზღვის პორტებსა და ქვეყნის შიდა რეგიონებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა ფოთის პორტი, რომელიც ვაჭრობისა და სატრანსპორტო ცენტრად იქცა. რკინიგზამ ხელი შეუწყო ქალაქების ზრდას, საქონლის სწრაფ გადაადგილებას და მოსახლეობის გადაადგილების გაადვილებას.

ამავე პერიოდში განვითარდა მრეწველობა. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით ჭიათურაში, დაიწყო მანგანუმის წარმოება, რაც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ საყრდენად იქცა. შეიქმნა სხვა მრავალი საწარმო ტექსტილის, ღვინის, სამჭედლო და ქაღალდის ქარხნები, რამაც ხელი შეუწყო ქალაქების ეკონომიკურ აღმავლობას და სამუშაო ადგილების ზრდას.

1861 წელს გაუქმდა ბატონ-ყმობა, რაც გლეხებს პირად თავისუფლებას ანიჭებდა. მიუხედავად იმისა, რომ მიწის პრობლემა ბოლომდე არ მოგვარდა, გლეხებმა მაინც მიიღეს თავისუფალი შრომის და საკუთარი საქმის განვითარების შესაძლებლობა. ამან საზოგადოების სოციალური სტრუქტურა შეცვალა და ახალი ფენები:ხელოსნები, ვაჭრები და ინტელიგენცია წარმოშვა.

საზოგადოებრივი განვითარება ხელს უწყობდა განათლების გავრცელებასაც. ქვეყანაში იზრდებოდა წერა-კითხვის მცოდნე ადამიანების რაოდენობა, იქმნებოდა სკოლები, ბიბლიოთეკები და სასწავლო დაწესებულებები. განათლებული ახალგაზრდობის ნაწილმა, რომელსაც „თერგდალეულები“ ეწოდებოდათ, დაიწყო ეროვნული მოძრაობა. მათ სურდათ საქართველოს კულტურული და პოლიტიკური აღორძინება, ქართული ენისა და თვითმყოფადობის დაცვა.

ამრიგად, XIX საუკუნის მეორე ნახევარი საქართველოში გახდა დრო, როცა ქვეყნის მოსახლეობა იზრდებოდა, იცვლებოდა მისი სოციალური სტრუქტურა, ვითარდებოდა ეკონომიკა, განათლება და ეროვნული ცნობიერება. ეს ცვლილებები საფუძვლად დაედო საქართველოს ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადასვლას.

გურამი ლომიტაშვილი